

**საქართველოს მთავრობის  
განკარგულება  
N 655 2008 წლის 8 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**2008-2009 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით  
საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის  
სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული კომპაქტურად  
განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების  
ღონისძიებათა შესახებ**

1. 2008-2009 წლის ზამთრის სეზონთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ (ი. ღვალაძე) სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - სატყეო დეპარტამენტის მეშვეობით კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს დამატებით 130000 მ<sup>3</sup> საშეშე მერქნის მისაღებად საჭირო ტყეკაფის გამოყოფის სამუშაოთა შესრულება.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – სატყეო დეპარტამენტმა უზრუნველყოს რუსეთის ფედერაციის სამხედრო აგრესიის შედეგად დაზარალებული, კომპაქტურად განსახლებული მოსახლეობის სათბობი შეშით მომარაგების მიზნით 6 000 კუბური მეტრი საშეშე მერქნის დამზადება, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტები) სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ვ. ვარძელაშვილის მიერ განსაზღვრულ ადგილებზე მისი ტრანსპორტირება და დასაწყობება.  
*(12.11.2008 N 733)*

3. ნება დაერთოს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – სატყეო დეპარტამენტს ამ განკარგულების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული სამუშაოების შესყიდვა განახორციელოს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

პრემიერ-მინისტრი

*ვლადიმერ გურგენიძე*